ხაშურის მოამბე

№28(352) 1 აგვისტო, ორშაბათი, 2022 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

შეხვედრის მიზანი იყო ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული საკითხების მიმოხილვა ადამიანის უსაფრთხოების ჭრილში. საუბარი შეეხო

სოფელ ჩორჩანაში არსებულ სპეციფიკურ პრობლემებს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ მდგომარეობას და მუნიციპალიტეტის მიერ ამ მიმართულებებით გატარებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს.

სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა სრული ინფორმაცია მიიღეს,ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის- თენგიზ ჩიტიაშვილისგან, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროს-დავით კიკნაძისგან

და მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის- ნინო სუხიაშვილისგან.

შეხვედრის ბოლოს,მხარეებმა სამომავლო პარტნიორობის კონკრეტული გზები დასახეს,სამომავლო გეგმები განიხილეს და კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობებზე შეთანხმდნენ.

- ალოობა - 2022 -

- ამინდი ხელსაყრელია, შედეგი - შესანიშნავი

ოკუპანტი რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მთელი მსოფლიო სასურსათო კრიზისის მოლოდინშია. ანალიტიკოსების აზრით, ეს კრიზისი, ძირითადად, მარცვლეული კულტურების კატასტროფულ დეფიციტში აისახება. რადგან,გასაგები მიზეზების გამო,მსოფლიო ბაზარი უკრაინიდან და რუსეთიდან იმაზე მკვეთრად ნაკლებ მარცვლეულს მიიღებს, ვიდრე ეს ტრადიციულად ხდებოდა. არადა, მარცვლეულის წარმოებაში ამ ორ ქვეყნას ლომის წილი უჭირავთ. ამიტომაც გასაგებია, რომ, წელს, ჩვენმა ხელისუფლებამ, სოფლის მეურნეობის კუთხით,ამ კულტურების უხვი მარაგის შექმნა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად აქცია. დიდი ყურადღება ექცევა მიმდინარე ალოობას, რომელიც ჯერ აღმოსავლეთ საქართველოდან - ძირითადად, კახეთის რეგიონიდან დაიწყო და უკვე შიდა ქართლიც მოიცვა.

როგორც ჩვენთან საუბარში სოფლის მეურნეობის სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ჯემალ გელაშვილმა განაცხადა, წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ალოობა 20 ივლისს დაიწყო. თავდაპირველად,ეგრეთ წოდებული შერჩეული აღება მიმდინარეობდა, რომელმაც კარგი შედეგი აჩვენა. დღეისათვის, ძირითადად, ქერის და შვრიის მოსავლის დაბინავება ხდება, ხორბლის - ნაწილობრივ.

მთლიანად, მუნიციპალიტეტში, მარცვლეულ კულტურებს 3 ათას ჰექტრამდე სავარგული უჭირავთ. აქედან ხორბალი 1700 ჰექტრამდეა დათესილი, ქერი - 350 ჰექტარზე მეტია, ხოლო შვრია 700 ჰექტარზეა განთავსებული. გასულ წელს, ხვნა - თესვის პერიოდში ამინდები ხელსაყრელი იყო. სამუშაოები აგროტექნიკური პროცესის სრული დაცვით ჩატარდა და გასაკვირი არაა რომ წლეულს მოსავალი გადააჭარბებს წინა წლების პროცენტებს. ამის დასტურია თუნდაც ფერმერების ავთანდილ ღამბარაშვილის, აკაკი მეტრეველის, ლევან ღამბარაშვილის,გია ჯავახიშვილის, ოლეგ ჯავახიშვილის, სოსო ნოზაძის და იმედა ხაჩიძის მიერ მიღებული მოსავალი,რომელმაც საშუალოდ (ხორბალი და ქერი) 4,5 ტონას გადააჭარბა. ჩვენი მუნიციპალიტეტის პირობებში, ეს მართლაც შესანიშნავი შედეგია. ასეთ მოსავალს ხელსაყრელმა ამინდებმაც შეუწყო ხელი, რაც გაზაფხულის უხმა ნალექმა განაპირობა. დღეისათვის ნათესებში 12 ადგილობრივი კომბაინი მუშაობს. ამას ემატება შპს „მექანიზატორის“ 4 კომბაინი,რაც ჯერ-ჯერობით,სრულიად საკმარისი რაოდენობაა. საჭიროების შემთხვევაში მათი რაოდენობის გაზრდაც შესაძლებელია.

ამინდები დღეისათვისაც ხელსაყრელია და არც შემდეგი დღეების პროგნოზია ცუდი. ამიტომ, ამ ტემპით, ალოობა, სავარაუდოდ, 15 აგვისტოსთვის დასრულდება, - განაცხადა ჯემალ გელაშვილმა.

გამარჯვება მნიშვნელოვან კონკურსში

„30 წელი საბჭოეთის დასასრულიდან“ - ასე ერქვა კონკურსს,რომელიც გერმანული კორბერის ფონდის, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV international) ეგიდითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ჩატარდა. კონკურსში საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კონკურსი ძალზე მასშტაბური იყო და ევროპის ქვეყნების გარდა (პოლონეთი, სერბეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია,ბულგარეთი,ხორვატია,ბოსნია,გერმანია) მასში ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიც იღებდნენ მონაწილეობას (საქართველო,სომხეთი,აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა). სასიხარულოა, რომ ასეთ მასშტაბურ კონკურსში ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსწავლეებმა უდიდეს გამარჯვებას მიაღწიეს და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. სურამის მე-3 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებლის - ნათელა გოგოლაძის ხელმძღვანელობით, მოსწავლეების ბარბარე ცხადაძის, ირაკლი აბრამაშვილის და ლიზი ქართველიშვილის ესსემ - „მადლობა, ღმერთო, რომ ამას მომასწარ...“ ჟიურის უდიდესი მოწონება დაიმსახურა და გამორჩეულადაც შეფასდა. გამარჯვებულები ორგანიზატორებმა, დიპლომების გარდა, ფულადი საჩუქრითაც (1500 ლარიანი ვაუჩერი) დააჯილდოვეს. ოქტომბრის თვეში კი სამივე მოსწავლე სომხეთში,ისტორიის საერთაშორისო ბანაკში მიიწვიეს.

ვულოცავთ ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას ამ შესანიშნავ ბავშვებს, მათ ხელმძღვანელს,პედაგოგებს და მთელ სკოლას. დღეს კი მკითხველს ვთავაზობთ კონკურსში გამარჯვებულ ესსეს.

მადლობა, ღმერთო, რომ ამას მომასწარ...

(აქ მოთხრობილი ამბავი ეფუძნება რეალურ ისტორიას, რომლის დასადგენადაც მრავალი თვითმხილველის გამოკითხვა გახდა საჭირო)

მსოფლიოს,თავისი ისტორიის მანძილზე,მრავალი სისხლიანი რეჟიმი ახსოვს,რომლებიც სოციალური ევოლუციის აღმავალ ბილიკს შხამიანი სოკოებივით მიეკვრებოდნენ და ამ შხამით გაჯერებული იდეოლოგიით და ცეცხლითა და მახვილით შანთავდნენ პლანეტის ერთიან სხეულს. აგორებული ზვავივით ატყდებოდნენ ისინი უზარმაზარ ტერიტორიებს და იმპერიული ვნებების დასაკმაყოფილებლად მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს სწირავდნენ. ადამიანი, როგორც ინდივიდი, არაფერს ნიშნავდა მათთვის და ამის დასტურად, თუნდაც ბოლშევიზმის ბელადის სიტყვებიც კმარა, რომელიც ამბობდა, ათასი და მეტი კაცის სიკვდილი მხოლოდ სტატისტიკაა და მეტი არაფერიო...ამ მრავალ იმპერიას შორის, თავისი დაუნდობლობით, ალბათ, უპირველესი სწორედ ბოლშევიზმია, რომელმაც 70 წლის მანძილზე, პლანეტის ერთ მეექვსედ ტერიტორიას დააბიჯა მძიმე ჩექმა და ცრუ,მავნე ფილოსოფიურ იდეოლოგიას ამოფარებულმა,მილიონობით ადამიანს სიცოცხლეშივე ანახა ჯოჯოხეთი.

დღეს, ჩვენ, ერთ ღირსეულ კაცზე გვინდა, მოგითხროთ- ფართო მასებისთვის სრულიად უცნობ პიროვნებაზე, რომელმაც სურამში, ჩვენს დაბაში, დატოვა პატარა ლეგენდა, ლეგენდა კაცისა, გოლიათთან მებრძოლი ბიბლიური დავითივით ცარიელი ხელებით რომ ებრძოდა უზარმაზარ იმპერიას,რომელმაც ისიც და მთელი მისი ოჯახიც გაანადგურა.

...1991 წლის 12 აპრილი ... სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს სასადილო ბლოკში პაციენტები, დილის საუზმის მოლოდინში, მაგიდებს უსხდნენ. ყველა მაგიდა შევსებულიყო. მხოლოდ ერთი იყო კაცნაკლული.

- სიმონი სად არის? - იკითხა ექთანმა მარიამ დავითიანმა.

- ალბათ არ უნდა ჭამა,- გასცეს პასუხი.

- როგორ თუ არ უნდა, მშიერი ხომ არ იქნება?- ჩაილაპარაკა ექთანმა და სიმონის „პალატისაკენ“ გაემართა. ფრთხილად შეაღო კარი. ოთახში სიჩუმე იდგა. შორეულ კუთხეში,მორყეულ,ჟანგმორეულ საწოლზე კი იწვა კაცი,რომელიც ღია თვალებით ჭერს უცქერდა და სახეზე რაღაც ბედნიერი, ნათელი ღიმილი დასთამაშებდა.

- სიმონ, საუზმის დროა, ჩქარა თორემ დარჩები მშიერი! - ჩასძახა სანიტარმა და როდესაც პასუხი ვერ მიიღო, საწოლს მიუახლოვდა. კაცს გულზე ხელი დაეკრიფა, რომელშიც გაცრეცილი ფოტოსურათი ეჭირა. სურათზე ახალგაზრდა წყვილს 2-3 წლის ბავშვი ეჭირათ და მას უღიმოდნენ.

- არ გესმის,კაცო,შენ?- ხმას მოუმატა ექთანმა და პაციენტი შეანჯღრია. ფოტოსურათი ნელა ჩამოცურდა კაცის ხელიდან და ძირს დავარდა.

- გარდაცვლილა ეს საცოდავი, - ჩაილაპარაკა შეშინებულმა ექთანმა და მთავარი ექიმის მოსაძებნად გაიქცა. თუმცა, სანამ შეტრიალდებოდა, საწოლის თავზე, გაკრულ და ჭუჭყისაგან გაშავებულ შპალერს ახედა, რომელზეც მსხვილი ასოებით, ნახშირით შესრულებული წარწერა ირეკლებოდა:„ მადლობა, ღმერთო, რომ ამას მომასწარ...”

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

სიმონ ხვედელიძის ბაბუა (სამწუხაროდ, მისი სახელი ვერ დავადგინეთ), შეძლებული კაცი ყოფილა ჭიათურაში. რამდენიმე საამქროს ფლობდა და ოჯახიც გამართული ჰქონდა. ქვეყნის გასაბჭოებისთანავე, მთელი ქონება ხომ ჩამოურთმევიათ, არც ეს აკმარეს და 1924 წელს, როგორც „მავნე ელემენტი”, დაუხვრეტავთ. თვითონ სიმონი 1938 წელს დაბადებულა. მისი დაბადებით გახარება არ აცალეს მშობლებს, „ხალხის მტრების” იარლიყი მიაკერეს, შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს, საიდანაც ვეღარ დაბრუნებულან. ბებო, მოხუცი ბებო, ზრდიდა სიმონს. სკოლა ისე დაამთავრა ხალხის მტრების შვილის სახელი თითქმის ყოველდღე ესმოდა. პირველი დაპირისპირება რეჟიმთან სკოლაშივე დაიწყო, როდესაც კომკავშირში გაწევრიანებაზე თქვა უარი. სკოლის დამთავრების შემდეგ კი მთელმა ჭიათურამ იცოდა მისი სახელი. 1957 წლის (ან 1958წლის) პირველი მაისი იდგა. ჭიათურის ცენტრში შეკრებილი ხალხი საპირველმაისო დემონსტრაციის დაწყებას უცდიდა. პარტიული ბოსები მაღალ ტრიბუნაზე იდგნენ და კეთილმოწყალე ღიმილს არიგებდნენ ირგვლივ. ტრიბუნას კი უზარმაზარი პლაკატი ამშვენებდა: „დიდება კომუნისტურ პარტიას”.

სიმონს წინა დღეს, უკვე მეათედ, თუ მეოცედ უთხრეს უარი სამუშაოს დაწყებაზე, როგორც მტრების შვილი,ყველამ მოიცილა თავიდან. ის იყო დემონსტრაცია დაიწყო და საბჭოთა ბელადების სურათებმა იწყეს მსვლელობა,რომ სიმონი ტრიბუნას მიუახლოვდა, ის უზარმაზარი პლაკატი ჩამოხია და ზედ ფეხით შედგა. ჯერ შვიდი წელი რუსთავის კოლონიაში ჯიჯგნეს მისი სხეული. არც მერე აღირსეს თავისუფლება და ეს ნაწამები კაცი, ორი წელი, თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტეს, აქედან კი, უკვე დაუძლურებული, ფსიქოტროპული წამლებით გაჯერებული, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა. აი, აქ იწყება ის ისტორია, რომელიც პატარა ლეგენდასავით დადის სურამში და დღესაც ბევრი იხსენებს ამ საოცარ პიროვნებას.

პირველი წელი თითქმის უბრად ყოფილა სიმონი. არავის ეკონტაქტებოდა და არც რამეს „აშავებდა”. ორი წლის მერე ჩათვალეს, რომ იგი აღარ იყო უკვე „საზოგადოებისათვის საშიში”, მას ეზოში გასვლის ნებაც დართეს და, პარალელურად, შეეძლო, მცირე ხნით, სურამის ცენტრში გავლაც. სწორედ აქ „აღმოაჩინა” სიმონმა გაზეთების ის ჯიხური, რომელიც შემდეგ, მთელი ოცი წელი, მისი ცხოვრების ნაწილად იქცა. სხვა ცხოვრება აღარც ჰქონია სიმონს. ჯერ კიდევ ციხეში ყოფნისას გაიგო, რომ მისი გამზრდელი ბებია გარდაცვლილა. სახლი კი, პრაქტიკულად, აღარც არსებობდა. ან რა სახლი იყო? ბაბუის ნაქონი დიდებული ოდა ადრევე დაატოვებინეს ოჯახს და სადღაც, ძველი ფერმის ხის სადგომში იყვნენ შესახლებულები. ოროთახიანი ხის ხუხულა, ასე თუ ისე, გაამაგრეს და მოაწყეს, მაგრამ ბებიის გარდაცვალების შემდეგ, ფიცარ-ფიცარ გაუზიდავთ მავანთ და მხოლოდ დაშლილი და სახურავჩამოშლილი ნანგრევებიღა დარჩენილა. ამიტომ იქცა სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო სიმონის სახლად. ბრძოლის ჟინი? ბრძოლის ჟინი არც განელებია სიმონს. იცოდა, კარგად იცოდა, რომ ისტორიული კანონზომიერება, როცა იქნებოდა, დაასამარებდა და დაანგრევდა რეჟიმს, რადგან მარადიული იმპერიები არ არსებობენ და სხვის სისხლზე აღმოცენებული, საბოლოოდ თვითონ იცლებიან სისხლისაგან. ათასების თავზე აღმართული მახვილი,საბოლოოდ,ისევ უკან უბრუნდებათ და ამ მახვილითვე სამარდებიან, მახვილით, რომლის ვადასაც ულამაზესი წარწერა ამშვენებს - „თავისუფლება”. დიახ, ეს იცოდა სიმონმა და უდიდესი სურვილიც ჰქონდა თვითონაც სჭეროდა ეს მახვილი, მაგრამ მის დაუძლურებულ სხეულს აღარ შეეძლო აქტიური ბრძოლა. გაჩერება კი მისი მშობლების , ბაბუის, მისი გამზრდელი ბებოს ხსოვნის შეურაცხყოფა იყო. ამიტომაც შეცვალა ტაქტიკა, ბრძოლის მეთოდი და უფრო „მშვიდობიან” მეთოდს მიადგა,მეთოდს,რომელსაც ოცი წლის განმავლობაში,ყოველდღე იმეორებდა და ეს მისთვის ბრძოლაც იყო რეჟიმთან,მოყვასის წინაშე ქადაგებაც,ლოცვაც და ოცნებაც. სურამში დღესაც იხსენებენ: როცა სიმონი გამოჩნდებოდა და გაზეთების ჯიხურისაკენ მიემართებოდა, ყველამ იცოდა, რომ ზუსტად 8 საათი და 30 წუთი იყო. 9 საათზე ახალი გაზეთები მოჰქონდათ ჯიხურში. სიმონი პირველი უნდა ყოფილიყო. იქვე, ჯიხურთან, სკამზე ჩამოჯდებოდა და სკოლის მოსწავლეებს აცილებდა მზერით. ბავშვები მისი სისუსტე იყო. თუ გაზეთები იგვიანებდა, რომელიმე პირველკლასელს ჩანთას გამოართმევდა და არც თუ შორს, სულ რაღაც ორასიოდე მეტრში, სკოლამდე მიატანინებდა. მერე თავზე აკოცებდა, აბა, შენ იცი, ბევრი ხუთიანით დაბრუნდიო, ეტყოდა. ყველა პატარა ცნობდა სურამში. ყველა პატარას მეგობარი იყო სიმონი. ამასობაში, გაზეთებიც მოვიდოდა. აი, იქ კი იწყებოდა „წმინდა რიტუალი”. გაზეთების გამყიდველს არც ჭირდებოდა თქმა რომელი გაზეთი მიეწოდებინა სიმონისათვის. ექვსი გამოცემა იყო მისი სამიზნე: ქართული გაზეთებიდან ორი გადმოდიოდა მის ხელში - „კომუნისტი” და „ახალგაზრდა კომუნისტი”, რუსულიდან კი -”პრავდა”, „იზვესტია”, „ტრუდი” და „კომსომოლსკაია პრავდა”. სათუთად დააწყობდა ამ „ნადავლს” სიმონი. გაასწორებდა, რომ კიდეები ერთმანეთს დამთხვეოდა, იქვე მდგარ ნაგვის ურნასთან მივიდოდა, ოთხად გადახევდა ყველას ერთად, ურნაში ჩაყრიდა და -ამ სიმართლით იარეთ თქვენო,- ჩაილაპარაკებდა. გვერდზე, წყლის „სოკოსთან” მივიდოდა, ხელს გადაიბანდა და იმით უზომოდ კმაყოფილი, რომ ამ გაზეთებიდან გადმოსული მავნე იდეოლოგია თუნდაც ერთ კაცს ააშორა,ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა ფსიქიატრიულისაკენ მიმავალ გზას. ოცი წელი,ყოველდღე მეორდებოდა ეს რიტუალი. მხოლოდ ორშაბათი დღე იყო გამონაკლისი - ამ დღეს გაზეთები არ გამოდიოდა. ეს დღე მისი განტვირთვის დღე იყო. ერთადერთი განძი, რაც მას ოჯახიდან დარჩა, გაცრეცილი ფოტოსურათი იყო, რომელიც მუდამ გულლისჯიბეში ედო. სურათზე ორი წლის სიმონი ეჭირათ ხელში მის მშობლებს. ორშაბათ დღეს, ფსიქიატრიულის ეზოს შორეულ კუთხეში ჯდებოდა სიმონი. ამ ფოტოს მუხლებზე დაიდებდა, მთელი საათი უცქერდა, მერე ისევ ჯიბეში ჩაიდებდა და ოცნებებში იძირებოდა.

ტელევიზორი არ უყვარდა სიმონს. არც არასოდეს უყურებდა. ერთადერთი გამონაკლისი 1991 წლის 9 აპრილი ყოფილა. თავიდან ბოლომდე უყურებია უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომისათვის და როდესაც თავისი ყურით მოისმინა, რომ საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო გახდა, მთელი საღამო პატარა ბავშვივით ქვითინებდა თურმე. ამ ამბიდან სამ დღეში დატოვა სიმონ ხვედელიძემ ეს მისთვის აუტანელი სამყარო. შესრულებულად ჩათვალა ის მისია, რომელიც განგებამ მას დაავალა. აღარაფერი ესაქმებოდა აქ. თავისი ოჯახის მონატრება კი ისეთი მძაფრი იყო, რომ გაუსაძლის ხდიდა მის არსებობას. არავინ შეუწუხებია, ჩუმად, უხმაუროდ წავიდა და დატოვა მხოლოდ სახელი და ნახშირით, აკანკალებული ხელით შესრულებული წარწერა - „მადლობა, ღმერთო, რომ ამას მომასწარ...”

P.S. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საინტერესო პიროვნების ისტორია მხოლოდ თვითმხილველთა ნაამბობიდან შევადგინეთ. სამწუხაროდ, რაიმე დოკუმენტზე, რომელიც შესაძლებელია, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფილიყო დაცული, ხელი არ მიგვიწვდა. როგორც განგვიმარტეს, იქ ეს არქივი აღარ არსებობს. არის შანსი, რომ რაიმე დოკუმენტი იყოს ფსიქიატრიული გაერთიანების ცენტრალურ არქივში, მაგრამ მასზე წვდომა მხოლოდ სასამართლოს ნებართვითაა შესაძლებელი და ერთიც: ნაამბობში მოთხრობილი გვარ-სახელები რეალურია და არ ჩავთვალეთ საჭიროდ მათი შეცვლა, რადგან გვინდა და მიგვაჩნია, რომ ეს სახელები ისტორიამ უნდა იცოდეს, რომ უჩინარი პირები, ბოლოს და ბოლოს რეალურ გმირებად იქცნენ.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27)

სტახანოვური მოძრაობა იყო გაშლილი ხაშურის რკინიგზის სადგურის თანამშრომლებშიც. უფროსი მეისრეები ვ. ხიხაძე, მ. კიკნაძე, მ. ღონდაძე და პ. შათირიშვილი სანიმუშოდ უვლიდნენ ისრებს და გეგმებს 100-140 პროცენტით ასრულებდნენ .

1940 წლის მაისისთვის სადგურის 255 მუშა-მოსამსახურიდან სტახანოველი იყო 189, დამკვრელი – 21.

სამუშაო გეგმების ხარისხიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის ენერგიულად იბრძოდნენ ხაშურელ კონდუქტორთა ბრიგადები. განსაკუთრებული ენერგიულობით გამოირჩეოდა მთავარი კონდუქტორი ზ. დევაძე, რომელიც გეგმებს 143%-ით ასრულებდა, დ. ლომსაძე (159%) და ჯ. რევაზიშვილი (208%).

საბარგო მატარებლის უფროსი კონდუქტორი გ. შათირიშვილი გეგმებს ასრულებდა 202%-ით, ა. ლალუაშვილი – 202%, ვ. ბერიძე – 209%. მ. გოგოლაძე – 219%, ი. ჩიტაძე – 217%-ით.

1940 წლის ოქტომბრისთვის ხაშურის რკინიგზის კვანძზე 1210 სტახანოველი და 217 დამკვრელი იყო. მათ შორის 382 სტახანოველი და 34 დამკვრელი კომკავშირელი იყო. სტახანოველებიდან 37 მუშაკი დაწინაურებული იყვნენ ბრიგადირებად, უფროს მონტიორებად. უფროს მექანიკოსებად და სხვა.

რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეთაგან დაჯილდოებული იყო 62 მუშაკი, მათ შორის „საპატიო რკინიგზელის ნიშნით“ - 11; „სტალინური გაწვევის დამკვრელის ნიშნით“ - 38, სახკომის სახეობის სახელობითი საათით – 13 მუშაკი).

30-იანი წლების ბოლოს ხაშურის რაიონში უკვე მნიშვნელოვნად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი მრეწველობის ტრადიციული დარგები, რომლებიც მანამდეც იყო, მაგრამ ახლა უფროდაუფრო ფართოვდებოდა, იხსნებოდა ახალი საწარმოები. 1940 წელს ადგილმრეწველობის საწარმოებმა რაიონს მისცეს 1.009.600 მანეთის შემოსავალი, 1941 წლისთვის კი გეგმით გათვალისწინებული იყო შემოსავლის ზრდა 1.900.500 მანეთამდე. ე.ი. შემოსავლის ზრდა გათვალისწინებული იყო თითქმის ერთი-ორად.

ადგილობრივი მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმო იყო ხაშურის აგურის ქარხანა, რომლის კოლექტივიც იბრძოდა მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისთვის. აქ შეიცვალა და გაუმჯობესდა თიხის მოზელვისა და დაყალიბების წესი, ღუმელში აგურის საწყობისა და გამოწვის რეჟიმი.

1940 წლის მესამე კვარტლის გეგმა ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის ნაცვლად მოჭრილი იქნა 30 800 ცალი ალიზით მეტი, რაც 2,2%-ით აღემატებოდა გეგმას. წითელი აგურის გამოშვების გეგმა კი 110,8%-ით შესრულდა.

9 თვის საწარმოო გეგმა კი ქარხანამ ასე შეასრულა: ალიზი გეგმის გადაჭარბებით მოჭრილია 106,7%-ით, ხოლო წითელი აგურის გამოშვება შესრულებულია 106,3%-ით.

ქარხანას ჰყავდა თავისი სტახანოველები, რომლებიც საწარმოო გეგმებს ყოველთვის გადამეტებით ასრულებდნენ. ესენი იყვნენ: სიმონ შეპელოვი, რომელიც გეგმებს ასრულებდა 125%-ით, გიორგი ბითაძე – 122,5%-ით, ილია სალიკო – 124,3%-ით. შალვა ელბაქიძე, ლევან ხვედელიძე, იასონ ტალახაძე, დანიელ პარადოვი კი საწარმოო გეგმებს 140-150%-ით ასრულებდნენ.

ქარხნის მუშა ტიმოფეი ნოშკინი 8 საათის განმავლობაში 45 ტონა ალიზს აწყობდა ღუმელში და გეგმას 200%-ით ასრულებდა. შრომის ნაყოფიერება ერთი-ორად გაზარდა აგურის მიმწოდებელმა ქალმა პაშა პატოსკაიამ, რომ მას არ გაეზარდა ალიზის მიწოდება, ტ. ნოშკინიც ვერ გაზრდიდა შრომის ნაყოფიერებას.

დამყალიბებელი ელისე ჩაჩანიძე, გიორგი ბითაძე და ნიკოლოზ ბითაძე გეგმებს ასრულებდნენ 150-170%-ით.

1940 წლის მეოთხე კვარტალში ქარხანამ, არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, თიხის დამზადების გეგმა შეასრულა 116%-ით, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა კი 90,6%-ით. ასეთი მაჩვენებლები ქარხანას არცერთ წელს არ ჰქონია().

1940 წელს საწარმოო გეგმა ქარხანამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა. წლის განმავლობაში თიხის დამზადების გეგმა 302,7% შესრულდა, ალიზისა 98,5&-ით, ხოლო წითელი აგურის გამოშვების კი 89,1%-ით. ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 108,2%-ით.

ქარხნის საწარმოო გეგმების შესრულებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ს. შეპელოვმა, რომელიც ყოველდღიურ გეგმას 118,1%-ით ასრულებდა. გ. ბითაძემ – 118,1%-ით, ლ. ხვედელიძემ – 113,7%, ლ. ლისვენოვმა – 120%.

1941 წლის იანვარში ქარხანას უნდა მოემარაგებინა 2 ათასი კუბმეტრი სააგურე თიხა, მოიმარაგეს მხოლოდ 1,4 ათასი კუბ. მეტრი, რითაც გეგმა შეასრულა 70%-ით. თებერვალში ჩამორჩენა გამოსწორდა. 3 ათასი კუბ. მეტრი სააგურე თიხის ნაცვლად მომარგებული იქნა 7139 კუბ მეტრი თიხა, რითაც გეგმა შესრულდა 204,6%-ით. ამით ქარხანამ წარმატებით შეასრულა 1941 წლის I კვარტლის გეგმა.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა შორის ხაშურის სახერხმა ქარხანამ 1940 წლის საწარმოო გეგმები ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა. ქარხანას ამ წელს უნდა გამოეშვა 69 000 მანეთის პროდუქცია. მარტო 9 თვეში გამოუშვა 70 900 მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 3%-ით.

ქარხანაში, ისევე როგორც სხვაგან, არაერთი სტახანოველი მუშაობდა. ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი საწარმოო პროცესებში და წარმატებით ასულებდნენ გეგმებს. ქარხანასთან მუშაობდა საავეჯო საამქროც, რომლის გამოშვებული პროდუქციაც ვრცელდებოდა რაიონში და მის ფარგლებს გარეთაც. 1940 წელს საავეჯო საამქროში განხორციელდა ტექნიკური რეკონსტრუქცია, რამაც ქარხანას საშუალება მისცა, ხარისხიანი პროდუქცია გამოეშვა.

1941 წელს ქარხანა ჩაება მე-18 პარტკონფერენციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-20 წლისთავისადმი გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. 26 იანვრისათვის ქარხნის მუშებს უკვე დიდი წარმატებით ჰქონდათ შესრულებული თავის საწარმოო გეგმები. ქარხნის მუშას ნ. ტაბატაძეს საწარმოო გეგმა 220%-ით ჰქონდა შესრულებული, რ. ქარუხნიშვილს – 183%-ით, ს. ამბოკაძეს – 130%-ით.

ქალაქის ერთ-ერთი უძველესი საწარმო იყო ლიმონათის ქარხანა. რევოლუციამდე ამ საქმიანობას ქალაქში ძნელაძეები მისდევდნენ. 1940 წელს ლიმონათის ქარხნისთვის ახალი შენობა აიგო. ქარხნის წილი ადგილობრივ მრეწველობაში ყოველთვეს თვალსაჩინო იყო. აქაც 30-იან წლებში წარმოების არაერთი მოწინავე შრომობდა, რომლებიც წარმატებით ასრულებდნენ ქარხნისათვის მიცემულ საწარმოო გეგმებს.

30-იანი წლების ბოლოს, განსაკუთრებით ისახელა თავი ქარხნის მუშამ, ჩამომსხმელმა თომაძემ, რომელსაც ამ დარგში მუშაობის 22 წლის გამოცდილება ჰქონდა. მან გამოიგონა საცობების დამამზადებელი დაზგა, რომელიც ქარხანას 18 ათასი მანეთის ეკონომიას აძლევდა წლიურად. ადრე ქარხანას ერთი საცობის დამზადება 5 კაპიკი უჯდებოდა, ამ გამოგონების შემდეგ კი 1,5 კაპიკი.

თომაძემ მიაღწია იმასაც, რომ სამრეცხაო დღეში 2500 ბოთლი ირეცხებოდა 8 საათში, რაც ქარხანას 12 ათასი მანეთის ეკონომიას აძლევდა წელიწადში.

40-იანი წლებისათვის ქალაქში აშენდა საყინულე ქარხანა, რომელიც დღე-ღამეში 3 ტონა ყინულს ამზადებდა. ამავე პერიოდში მუშაობას შეუდგა ტყავის-გადასამუშავებელი წარმოება. ტყავის რაოდენობის იმ ნაწილით, რაც წარმოებას დარჩებოდა, უნდა დამზადებულიყო ფეხსაცმელი. ალის კრამიტის ქარხანა ნახევარ მილიონ კრამიტს იძლეოდა, აქვე მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო, მანქანა-იარაღების სამჭედლო-სარემონტო სახელოსნო. წარმატებით მუშაობდა სურამის კირის ქარხანა.

* * *

20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქვეყანაში დაიწყეს ინდუსტრიალიზაციის კურსის განხორციელება, რომლის მიზანიც იყო სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. კურსი ითვალისწინებდა მძიმე მრეწველობის განვითარებას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შეიარაღებას თანამედროვე ტექნიკითა და დანადგარებით, ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და სხვა. ასეთი დიდი ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად საჭირო იყო დიდი სახსრები, რისი მობილიზებაც ქვეყანას შეეძლო მხოლოდ შიდა წყაროების ხარჯზე. ერთ-ერთ ასეთ წყაროდ მიჩნეული იქნა მოსახლეობის დანაზოგი. 1927 წლიდან დაიწყეს ე.წ. ინდისტრიალიზაციის სესხების გამოშვება. რომლის რეალიზაცია ხდებოდა მოსახლეობაში.

ხაშურელებში, ხაშურის წარმოება-დაწესებულებების კოლექტივებში წარმატებით გავრცელდა I და II ხუთწლედების დროს გამოშვებული სესხი. ასევე წარმატებით ვრცელდებოდა ხაშურსა და მის რეგიონში მესამე ხუთწლედის განხორციელების პერიოდში გამოშვებული სახელმწიფო სესხი, რომელიც უნდა მოხმარებოდა ხუთწლედის გეგმის სამეურნეო-კულტურულ მშენებლობას და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცების საქმეს.

1938 წლის ივლისში წარმატებით განხორციელდა ახალი სესხის გავრცელება რაიონში. ღუდის, ცხრამუხის, ქვიშხეთის, ხცისის და სხვა სოფლების კოლმეურნეობების არცერთი წევრი არ დარჩენილა რომ სესხზე ხელი არ მოეწერა. 2 ივლისს ელდეპოს მუშა-მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს დღის 2 საათისათვის მთლიანად დამთავრებული ჰქონდათ სესხზე ხელმოწერა. ელდეპოს უფროსმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ქარუმიძემ ხელი მოაწერა 2000 მანეთის რაოდენობის, ორდენოსანმა მემანქანემ ს. კურტანიძემ – 1000 მანეთის, კრივონესელმა მემანქანემ გელაშვილმა – 900 მანეთის სესხზე და ა.შ.

ოძისელმა კოლმეურნეებმა სესხის გამოსვლის მეორე დღეს დაამთავრეს ხელმოწერა. მათ ხელი მოაწერეს 1620 მანეთის რაოდენობას სესხზე.

ხაშურის სახელმწიფო ბანკის ყველა თანამშრომელმა ხელი მოაწერა 3 კვირის ხელფასზე, რაც შეადგენდა 5275 მანეთს.

ქაშვეთელმა კოლმეურნეებმაც სესხის გამოსვლის მეორე დღესვე დაამთავრეს სესხზე ხელმოწერა. კოლმეურნეობის 76-მა წევრმა ხელი მოაწერა 1190 მანეთის სესხზე.

აეროკლუბის მუშა-მოსამსახურეებმა ერთხმად მოაწერეს ხელი ერთი თვის ხელფასზე. ღუდის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 1850 მანეთის სესხზე. მე-5 (I) საშუალო სკოლის პედკოლექტივმა კი 12057 მანეთზე.

საქვაჭრობის ხაშურის განყოფილების თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს ერთი თვის ხელფასზე, რაც უდრიდა 17005 მანეთს.

ასევე წარმატებით გავრცელდა სესხი ტეზრის კოლმეურნეობაში, რაისაბჭოს აღმასკომში.

1938 წლის 2 აგვისტოს სესხზე ხელმოწერის პირველ დღეს ხელი მოაწერა რაიონის 2164 მცხოვრებმა. 24400 მანეთის სესხზე. სულ კი ხელმოწერილი იქნა 1 700 000 მანეთის სესხზე.

1940 წლის 1 ივლისს გამოშვებული იქნა მესამე ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო სესხი.

პირველ დღესვე, 2 ივლისს, ხელმოწერაში ჩაება 7509 მუშა-მოსამსახურე, დიასახლისი, კოლმეურნე ქალი, რომელთაც ხელი მოაწერეს 1 681 000 მანეთის სესხზე. რაც უდრიდა 1938 წელს მთლიანად ხელმოწერილ თანხას. 5 ივლისს დღის 2 საათისათვის რაიონში ხელმოწერილი იყო 2 455 220 მანეთის სესხი.

2 ივლისს ხაშურის სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 9825 მანეთის სესხზე. პირველებმა ალექსანდრე ხანისეულმა და მარიამ ხეროდინოვმა მოაწერეს ხელი.

იმავე დღეს პურის ქარხნის თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს ერთი თვის ხელფასზე და ქვეყანას სესხად მისცეს 20 ათასი მანეთი.

ოსიაურის კოლმეურნეობაში ხელი მოაწერა 120 კოლმეურნემ 4400 მანეთის სესხზე.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ.„ხმ“ #27)

ქართველი მწერლები - ხაშურში

აკაკი წერეთლის სიყვარული იმდენად დიდი იყო ხაშურის საზოგადოებაში, რომ მისი სახელობის ფონდიც კი დაარსეს. 1915 წლის 5 დეკემბრის ნომერი „ თეატრი და ცხოვრება” იტყობინება: „ ჩატარდა ხაშურის დრამწრის კრება, რომელმაც მოისმინა წლიური ანგარიში ფინანსური ანგარიშის შესახებ, სადაც ნაჩვენებია, რომ სხვა შემოსავლებთან ერთად აკაკის ფონდში შემოსულია 35 მანეთი და 95 კაპიკი.”

ენიკოლოფაშვილი იგონებს ლევან დიასამიძის მამის ნიკოლოზის შესახებ, რომელიც თავისი დროისათვის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო.. მამაჩემს მამული სურამის მახლობლად, სოფელ ბრილშიც ჰქონდა. როცა აქ სახლის აგება გადაწყვიტა, საფუძვლის ჩაყრაზე აქ მეგობრები მოიწვია. მათ შორის იყო აკაკიც, რომელმაც, ამ მოვლენის აღსანიშნავად, აქ ლექსი დაწერა. ეს ლექსი ბოთლში ჩადეს და ბალავარში ჩაატანეს. ეს სახლი სოფელ ბრილში შემდეგ ქართველი საზოგადოებრიობის დიდ სალონად გადაქცეულა. ამ სახლის ხშირი სტუმრები, გარდა აკაკისა, ყოფილან: გიორგი წერეთელი, მისი მეუღლე ნასტასია, სოფრომ მგალობლიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ვანო მაჩაბელი, ეკატერინე მესხი და სხვები.

ერთხელ, ბრილში სტუმრად ყოფილან „ვეფხისტყაოსნის”ინგლისურ ენაზე მთარგმნელი მარჯორი უორდროპი და მისი ძმა ოლივერი.

საგულისხმოა, რომ ჟურნალ „კვალის” დაარსებაც ამ სალონში მოხდა.

ერთ დღეს აკაკი ბრილში ჩამოვიდა თავისი მეუღლით და შვილით – ალექსით. აქ მათ მთელი ზაფხული გაატარეს. აკაკის რაღაც საქმეების გამო დასჭირდა სასწრაფოდ გამგზავრება საჩხერეში. დროის მომჭირნეობისათვის ისურვა პირდაპირ ჭერათხევით მახლობელ სოფელ ალზე გადასულიყო. გზა აქეთ ძლიერ მოუხერხებელი იყო და მამამ ურემზე რბილი სავარძელი მოაწყო, რომ აკაკი არ შეწუხებულიყო. აკაკი თავისი ოჯახით გაემგზავრა. რამდენიმე ხნის შემდეგ, იგი თავის სოფელში მძიმე, ავად გახდა და დიდხანს იწვა. ადგილობრივმა ინტელიგენციამ მგოსნის სარეცელთან მორიგეობა დააწესა. მათ შორის აკაკის გამოჯამრთელებამდე განუწყვეტლივ მორიგეობდნენ ჩემი ძმები გრიგოლი და ალექსანდრე..

აკაკის თხოვნით, მასთან ხშირად მოდიოდა ვარინკა წერეთელი, რომელმაც მუსიკაზე გადაიტანა „სულიკო”. იგი ავადმყოფ მგოსანს გიტარაზე უმღეროდა „სულიკოს”. 1897 წელს გარდაიცვალა მამაჩემი ნიკო დიასამიძე. მის დასაფლავებაზე სპეციალურად ჩამოვიდა აკაკი.

ჩემი ძმებიდან აკაკისთან ძლიერ დაახლოებულები იყვნენ გრიგოლი -„თემის” რედაქტორი, ალექსანდრე-პოპულარული ექიმები და საზოგადო მოღვაწე.
ქართულ სტუდენტებს მოსკოვში აკაკის ავადმყოფობა რომ შეუტყვიათ, მგოსნისათვის საჩხერეში წერილი გამოუგზავნიათ, მალე გამოჯამრთელება და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვებიათ. აკაკი სტუდენტთა ამ ყურადღებას ძლიერ გაუხარებია და უქთვამს, რომ სამაგიეროდ მათ რამეს მიუძღვნიო, როცა „ბაშია-ჩუკი” პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ კვალში, იქვე აღნიშნულ იყო, რომ ეს ნაწარმოები მოსკოვში მცხოვრები ქართველი სტუდენტებისადმი იყო მიძღვნილი.

მალე, 1915 წლის 26 იანვარს, გარდაიცვალა აკაკი წერეთელი, რასაც გულისტკივილით შეხვდა ხაშურის საზოგადოებრიობა. მგოსნის ნეშთი, რომელსაც საჩხერიდან მატარებლით მოასვენებდნენ, ორი საათის განმავლობაში იდგა ხაშურის სადგურში, მოზღვავებულ ხალხს საშუალება მიეცა, გულითადად გამოეტირებინა საყვარელი მგოსანი. მატარებელი ნახევარი საათი იდგა გომის სადგურშიც. აქ მგოსნის ცხედართან გამოსათხოვებლად ახლომახლო სოფლის გლეხებიც იყვნენ მოსულნი.

მიუხედავად ზამთრისა, მოხისელმა გლეხმა ალექსი ლობჟანიძემ მგოსნის ცხედართან პატარა პურის ძნაც კი მოიტანა.

სხვებთან ერთად აქ იყო ხაშურის გიმნაზიის პედაგოგი, ცნობილი მოღვაწე გიორგი იოსელიანი, რომელმაც შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა.

გაზეთი „ივერია” წერდა: „აი, ამ უხვათ მგზნებარე ეროვნულმა ცეცხლმა შეაძლებინა, ბატონ გიორგის წარმოეთქვა დაუვიწყარი სიტყვები აკაკის გასვენებაზე, რომელსაც ხაშურის საზოგადოება რკინიგზის ბაქანზე მოწიწებით და მუხლმოდრეკით შეხვდა: „ შენ იყავ მოსე წინასწარმეტყველი, რომელმაც გააპე შენი კვერთხით ზღვა მეწამული”.

გ. იოსელიანის სიტყვის შემდეგ ვაგონში აიჭრა ახალგაზრდა ვახტანგ ჩიქოვანი და პოეტს შუბლზე ეამბორა, ხოლო გომის სადგურზე მოხისელმა გლეხმა ალექსი ლობჟანიძემ მგოსნის კუბო თავთავის გვირგვინით შეამკო და მღელვარედ წაიკითხა მისი დიდებული „განთიადი”.

აკაკის გარდაცვალების შემდეგ “თეატრი და ცხოვრება” იტყობინებოდა /იხ. 1915 წლის 18 მარტის ნომერი/, რომ ხაშურელ მაყურებლებს უჩვენეს აკაკი წერეთლის “პატარა კახი”, დარბაზში ტევა არ იყო. ბევრი კი გულდაწყვეტილი გაბრუნდა უადგილობის გამო.

გაზეთი “სამშობლო” /იხ. 1915 წლის №64/ იტყობინებოდა, რომ 16 აპრილს, ხუთშაბათს, ხაშურის დრამატული წრის მიერ საკუთარ დარბაზში /ვ. ჯაფარაშვილის შენობაში/ გამართული იქნა აკაკის საღამო, რომელიც შედგებოდა ხუთი განყოფილებისაგან.

საღამოს დაწყებისთანავე, ხაშურის სცენისმოყვარეთა თავმჯდომარემ კ. ძნელაძემ წინადადება შეიტანა, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ დიდებული მგოსნის აკაკის ხსოვნისათვის, შემდეგ ხაშურის გიმნაზიის დირექტორმა, ა. მდივანმა წაიკითხა ლექცია თემაზე: “აკაკის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარებაში”.

დასასრულს, ლექცია მხურვალე ტაშისა და ვაშას შეძახილით დააჯილდოვეს.

მეორე განყოფილებაში სცენა საგულისხმო სანახაობას წარმოადგენდა: სცენის შუაგულში იდგა ყვავილებით მორთული აკაკის უზარმაზარი სურათი, რომელიც სპეციალური დაკვეთით დახატა გიმნაზიის მოწაფემ ა. ციცქიშვილმა. სურათის მარცხნივ და მარჯვნივ ყვავილებით ხელში იდგნენ მოწაფეები და რიგრიგობით კითხულობდნენ აკაკის ლექსებს. მათ შორის კარგად წაიკითხა ლექსი “ავადმყოფი” ივანე გვალიაშვილმა, “ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე” – მიხა აბაიაძემ. მესამე განყოფილებაში სცენისმოყვარულებმა წაიკითხეს ლექსები: დუდე ძნელაძემ – “ჩემი რწმენა” და დავით სხილაძემ – “მუშის ნატვრა”.

მეოთხე განყოფილებაში ვასო ხოზბერაშვილს /იგივე ვ. ხოზბერიძე/ ლოტბარობით შესრულებული იქნა სიმღერები “სამშობლო”, “აყვავებულა მდელო”, “ნან”, “ცანგალა და გოგონა”.

დასასრულს სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს აკაკის მხიარული კომედია “ბუტიაობა”. აკაკი წერეთლის “თორნიკე ერისთავი” და “პატარა კახი” შემდგომშიც დიდი წარმატებით იდგმებოდა ხაშურის თეატრის სცენაზე.

ილია ჭავჭავაძე, სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად, დიდ პატივს მიაგებდა დიმიტრი ყიფიანსა და მის ოჯახს.

1893 წლის დეკემბრის მიწურულს დიმიტრი ქართლს ეწვია. იგი მიწვეული იყო სოფელ ქვიშხეთში, ლუარსაბ ყიფიანის (დიმიტრის უფროსი ძმის – ქაიხოსროს ვაჟი) ქალიშვილის ქორწილში საპატარძლოს დასალოცად. როგორც იქ დამსწრენი (ნინო ყიფიანი, ანდრო ნადირაძე) იუწყებიან, მაშინ ილიას თან ახლდნენ: ალ. ფრონელი(ყიფშიძს), ნ. ხიზანიშვილი, დ. მიქელაძე, გრ. აბაშიძე, ა. ლულაძე, ქორწილში მყოფთაგან ყველა აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს ილიას.
ქვიშხეთში მყოფმა ილია ჭავჭავაძემ, შუა ქორწილის დროს, მოინდომა სახლის მონახულება. ის რამდენიმე ხნით განერიდა ქორწილს, დიდი მამულიშვილის დანატოვარ სახლში შეაბიჯა, ოჯახი დალოცა, შემდეგ კი ოჯახის უფროსის შესანდობარი დალია. ამის შესახებ გვიამბობს დიმიტრის რძალი, მწერალი ნინო ყიფიანი:„საუზმე მზად იყო და სტუმრები აივნიდან სასადილოში მივიწვიე. პირველი ხსენება დიმიტრისა იყო. ამ სახელზე პირველი წამოდგა ფეხზე ილია და დიდი შთაბეჭდილების სიტყვა წარმოთქვა, რომლითაც მიმართა დიმიტრის მეუღლეს და მწარედ ატირდა.

ჩემდა სავალალოდ, აღარ მახსოვს მისი შინაარსი, ხსოვნაში ჩამრჩა მხოლოდ მისი უკანასკნელი სიტყვები: „ამნაირად, დიმიტრი იყო, ჩვენი ხუროთმოძღვარი და ჩვენ კი მისი კალატოზებიო”

1907 წლის 3 ივლისს მეფის მთავრობამ დაითხოვა II სახელმწიფო სათათბირო, რაც გახდა სიგნალი ქვეყანაში დაწყებული მწვავე რეპრესიებისა. ისევე, როგორც სხვაგან, ხაშურშიც დაპატიმრებული და გადასახლებული იქნენ რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის არაერთი აქტიური მონაწილე.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის კვალდაკვალ ვითარდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა. თუ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა წინა პლანზე სოციალურ საკითხებს სწევდა, ეროვნულ- დემოკრატიული ეროვნულს ანიჭებდა უპირატესობას. მათ შორის ფარული თუ აშკარა დაპირისპირება თანდათან თვალსაჩინო ხდებოდა. ამიტო იყო რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, თავიანთი პოზიციების გასამყარებლად, ტერორს მიმართეს. 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ამისთვის ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი. სოციალ-დემოკრატები რევოლუციის წინაპერიოდში და მისი მიმდინარეობის დროსაც განსაკუთრებული, აღვირახსნილი პროპაგანდა გააჩაღეს ერის ღირსეული წარმომადგენლების წინააღმდეგ. ამ პერიოდში ერთ-ერთ სამიზნედ გადაიქცა ილია ჭავჭავაძე, რომელიც საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული და განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ბელადი იყო.

1907 წლის 30 აგვისტოს, სოციალ-დემოკრატებმა საგურამოს გზაზე, წიწამურთან მოკლეს ილია ჭავჭავაძე. ელვასავით მოედო წიწამურიდან წამოსული ეს ცნობა საქართველოს. ეს იყო ენით გამოუთქმელი დიდი ტრაგედია, რომელმაც შეძრა მთლიანად საქართველო.

„სიტყვით ვერ გამომითქვამს სასოწარკვეთილება და დარდი. ილია ჭავჭავაძის მოკვლა გონებას მირევს, სინდისს მიბორკავს. მოჰკლეს ერის დიდება, ბრწყინვალე პოეზია, ერის გული” – წერდა მოსკოვიდან ცნობილი თეატრალური მოღვაწე ალ. სუმბათაშვილი იუჟინი, რომლის ფესვებიც ხაშურში, სოფელ ქვიშხეთშია საძებნი.

წიწამურიდან წამოსულმა შემზარავმა ცნობამ მალე ჩამოაღწია ხაშურამდე. “... ხაშურის სადგურში,– იგონებს ვლასა შგელაძე,- თბილისიდან მოსულმა მატარებელმა გაზეთები მოიტანა, თავზარდამცემი ამბავი გვამცნო. ილია ჭავჭავაძის მოკვლის ხმა მოწმენდილ ცაზე მოულოდნელ გრგვინვად გაისმა.

დაუჯერებელია, მარა თეთრ ქაღალდზე შავი ასოებით დაბეჭდილი იყო: ილია მოკლეს! ილია აღარ გვყავს!

თვალებზე ბნელი გადამეკრა. ნათელი დღე დამიბნელდა, ხელები ჩამომივარდა, ტვინი გამეყინა, გულში რაღაც ჩამწყდა, მთელი ჩემი არსება გაშრა, როგორც სიცხისგან გამხმარმა – თვალებმა ცრემლები ვერ იპოვეს...

...გაზეთი ხელიდან გამივარდა, უაზროდ მოსავებული სკამზე ჩამოვჯექი, გონება ირეოდა...

გუშინ საყვარელი ცხოვრება, დღეს ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა”.

ხაშურის საზოგადოება, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, განიცდიდა ამ დიდ ეროვნულ ტრაგედიას, სასტიკად გმობდნენ მკვლელობის ორგანიზატორებს და შემსრულებლებს.

სამგლოვიარო დეპეშების, წერილებისა და სიტყვების ზღვა ნაკადი დაიძრა ხაშურიდან თბილისისაკენ.

1907 წლის 4 სექტემბერს გაზეთ „ისარში” „სურამის ქართველი საზოგადოების” ხელმოწერით გამოქვეყნდა პირველი სამგლოვიარო დეპეშა ხაშურის რაიონიდან. მასში ვკითხულობთ: „გულის სიღრმემდის აგვაშფოთა ძვირფას ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის საზიზღარმა მკვლელობამ. ეს არის ეხლა გადავიხადეთ პანაშვიდი. ყველანი სასტიკად ჰგმობენ, ჰიცხავენ და წყევლა-კრულვას უგზავნიან მკვლელებს. საუკუნო სირცხვილი და ჩირქი იმათ, ვინც აღმართა მახვილი წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძისა და განგმირა გული საქართველოს დიდებისა და სიამაყისა. ყველა ვგლოვობთ და ცხარე ცრემლით ვტირით.”

იგივე გაზეთი 7 სექტემბერს მიხეილ ყიფიანისა და ვლადიმერ ჩიქოვანის დეპეშას აქვეყნებს: „ხაშურის შეგნებული ქართველობა შეძრწუნებული და მგლოვიარეა დიდებულ ეროვნული მგოსნის, პუბლიცისტისა და ყოველმხრივ აუნაზღველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სიკვდილის გამო. უსაზღვრო სიძულვილსა და ზიზღს ვუთვლით ველურებს, რომელთაც მხეცურად დაღვარეს სისხლი ჩვენის დიდებულ 70 წლის მოხუც მგოსნისა. შენ უკვდავი ხარ, ძვირფასი ილია, შენი დატანჯული და წამებული ერისთვის.”

აქვეა მოთავსებული სოფელ ალის სასოფლოს საზოგადოების სახელით სერგი ხუცესის (გელაშვილი) გაგზავნილი წერილი: „სოფელ ალის საზოგადოების ათას კომლს მცხოვრებთ ყელში ლახვარივით მოჰხვდათ საქართველოს საუკეთესო მამულიშვილის მგოსნის ტრაგიკულად სიკვდილი. სწუხს და გლოვობს მთელი საზოგადოება იმ ადამიანის დაკარგვას, რომელმაც დიდი სახელი მოუხვეჭა მთელ ქართველობას თავის დაუღალავ მწერლობით და უმაღლესი ნიჭით. საზოგადოება უერთებს რა მწუხარებას მთელ ქართველ ერისას, ამავე დროს უღრმეს გულის წყრომას უცხადებს იმ უმსგავსო კაცუნებს, რომელთაც ხელიდან გამოგვაცალეს დაუვიწყარი და დაუფასებელი უნიჭიერესი პოეტი ილია ჭავჭავაძე.”

გაივლის სულ რაღაც 17 წელი და ამ წერილის ავტორს ის „უმსგავსო კაცუნები”, 1924 წლის აგვისტოს, ცნობილ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრებენ და სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ.

8 სექტემბერს, გაზეთი „ისარი” ი. ტასიკაშვილის პატარა წერილს აქვეყნებს სურამში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბის გავრცელების შესახებ. „თავზარდამცემი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ ჩვენ, სურამლებმა, ყრუდ პარასკევს, 31 აგვისტოს შევიტყეთ. მოუთმენლად ველოდით მეორე დღის გაზეთს, სადაც გავიგებდით ნამდვილს, მაგრამ ეჭვი ტყუილი იყო, ის თქვენ მტერს რაც ჩვენ შევიტყვეთ შაბათის გაზეთით: ილია შარა-გზაზე წუთისოფელს გამოასალმესო.

კვირას, 2 სექტემბერს, პოეტის სულის მოსახსენებლად, გადახდილი იქნა პანაშვიდი, შემდეგ შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს სტუდენტებმა გრ. შალიბაშვილმა და სვიმონიძემ, დეპუტაცია დასაფლავების დღისთვის სურამიდანაც მოდის.”

გარდა წერილებისა, სამგლოვიარო დეპეშები გაიგზავნა:

სურამიდან: მომრიგებელი სასამართლოს მოსამსახურეების, სურამელი ვაჭრებისა და ქართველ ქალთა ჯგუფისაგან.

ქვიშხეთიდან: ქვიშხეთელი ქალებისაგან, აგრეთვე ე. კლდიაშვილის, ს და დ. სუმბათაშვილების, დ. ნემსაძის, ლ. ლორიას, ჰ. ბედიაშვილის, მიხეილ, კოტე, ლუარსაბ, ზაზა, სანო, ლევან, ივანე და სვიმონ ყიფიანებისაგან.

გომიდან: ალექსანდრე და ვახტანგ ამირეჯიბებისა და სადგურ გომის მოსამსახურე და მომუშავეთაგან.

დიდი მგოსნის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს სოფელ ვაყის სკოლასა და სურამში.

დაკრძალვის პროცესიას, 9 სექტემბერს, 179 გვირგვინი მოუძღოდა წინ საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან გამოგზავნილი. გვირგვინებს შორის იყო აგრეთვე შემდეგი გვირგვინები:

სოფელ ალის გლეხობისაგან: „შრომის ახსნა ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.”

სადგურ მიხაილოვოს ქართველ მოსამსახურეთა და მცხოვრებთაგან: „ დაუვიწყარ მგოსანს, საყვარელ მამას ილია ჭავჭავაძეს.”

სოფელ ქვიშხეთის მცხოვრებლებისაგან: „ სასიქადულო მამულიშვილს.”

სურამის ქართველ საზოგადოებისაგან: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მგოსანო ჩემო, მაინც დარჩება.”

ასეთი გამოხმაურება ჰქონდა ხაშურის საზოგადოებაში დიდი ილიას მკვლელობას. ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენცია კარგად გრძნობდა, რომ მისი მკვლელობა მიმართული იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. მართლაც ეროვნულმა ძალებმა ვერ შეძლეს სათავეში ჩადგომოდნენ გამათავისუფლებელ მოძრაობას, ქართველი ხალხის ეროვნული იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლას. თანდათან იმძლავრა სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ და თითქმის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა.

მაყვალა ხაჩიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაეცნენ საგზაო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგზაო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტეზერში, შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს ბეტონის გზისა და სანიაღვრე არხების მოწყობა. „სოფელ ტეზერში ამ დრომდე შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, რაც გადაადგილების პრობლემას ქმნიდა. ძირითადი გზები მთელი სოფლის მასშტაბით წესრიგდება, რაც მოქალაქეთა გადაადგილების პირობებს გაცილებით უსაფრთხოსა და კომფორტულს გახდის. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ტეზრის გზა დაუკავშირდება სოფელ რუსაანთუბნის გზას, რომლის რეაბილიტაციაც გასულ წელს განხორციელდა, რაც სოფლებს შორის გადაადგილებას მნიშვნელოვნად გააიოლებს,“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა.

ტეზერში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს მთლიანად ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს. პროექტის ღირებულება 1 394 732 ლარს შეადგენს. მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით 1000- ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და სტუმარი ისარგებლებს.

აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სოფელ ცოცხნარამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ასფალტის საფარის დაგება,მილ-ხიდებისა და სანიაღვრეების მოწყობა. გარდა ამისა, დაიდგმება და დაიხაზება საგზაო ნიშნები. პროექტი გარდამავალია, შესაბამისად ცოცხნარამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შემდეგ, სოფელ ქემფრამდე მისასვლელი გზაც მოეწყობა.

თენგიზ ჩიტიაშვილის განმარტებით, სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ღირებულება 4 599 999 ლარს შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სლოვაკმა ექსპერტებმა ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთათვის სამუშაო შეხვედრა გამართეს

სამუშაო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართლოსისა“ და სლოვაკური “MESA10”-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მოეწყო, რომლის მიზანია რეგიონში ე.წ. გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე მოწყვლადი თემის შესაძლებლობების გაძლიერება,არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, ქალების და ახალგაზრდების ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა,ადგილობრივი მედიის შესაძლებლობების განვითარება.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეობას იღებდა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის შიდა ქართლის წარმომადგენელი ციკო შაქარაშვილი, რომელმაც აუდიტორიას ცენტრის საქმიანობა გააცნო და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის გაწევრების პერსპექტივებსა და გამოწვევებზე ისაუბრა.

პროექტი სლოვაკეთის განვითარების სააგენტოს (SlovakAid) მხარდაჭერით ხორციელდება.

სურამში ბევრ ლოკაციაზე მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა დაბა სურამში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები - ბაიანთხევის დასახლებაში გზის მოწყობა და ლესია უკრაინკას სახელობის სკვერის რეაბილიტაცია დაათვალიერეს.

„ბაიანთხევის დასახლება სურამის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანია. გარდა ამისა, ბაიანთხევი დამსვენებელთათვის მიმზიდველ ლოკაციას წარმოადგენს. შესაბამისად, გზის რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობის თუ ტურისტების გადაადგილების პირობების გაუმჯობესების, ისე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით“, - აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 943 098 ლარი ჯდება და ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით ხორციელდება.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას უწყობს ხელს ლესია უკრაინკას სახელობის სკვერის რეაბილიტაციაც. ადგილობრივებს და დამსვენებლებს კიდევ ერთი მოწესრიგებული სივრცით სარგებლობა შეეძლებათ. სკვერის რეაბილიტაციისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 83 591 ათასი ლარია განსაზღვრული.

მუსიკოსი დიდი მომავლით

ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ შვილები ხშირად ირჩევენ მშობლების პროფესიას და უფრო ხშირად, მათ არჩევანს, გენეტიკა, ნიჭი და გარემო განაპირობებს. საბა ხუციშვილი, ახალგაზრდა, ნიჭიერი მუსიკოსია. დედას, ფატი სადაღაშვილს, კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება, როგორც ნიჭიერ მევიოლინეს და უამრავი წარმატების ავტორს, როგორც საკუთარ, ისე მოსწავლეების შემოქმედებაში. ფრანგულმა გამოთქმამ, ამ შემთხვევაში არ იმუშავა, არც ბუნებამ დაისვენა დიდებული ადამიანის შვილებზე და პირიქითაც კი, საბა თავისი შრომით, ნიჭით და ენთუზიაზმით, იმ მიზნების მიღწევას ცდილობს, რომელიც დაისახა. საბა "ერასმუსის" პროგრამით, უკვე მეორედ, ახლა როგორც მაგისტრი, ისე მიდის შოტლანდიაში. დასაწყისზე, არჩევანზე, მოლოდინებზე, თავად საბა ისაუბრებს.

–მუსიკა ყოველთვის დიდი დოზით იყო ჩემს ცხოვრებაში. დედას დამსახურებაა ჩემი სიყვარული კლასიკური მუსიკისადმი. ბავშვობაში, როგორც ყველა ბავშვი, მეც ვზარმაცობდი, მოგვიანებით, 16 წლის ასაკში, მივხვდი, რომ მინდოდა, პროფესიად მექცია და სერიოზულად

მოვკიდე ხელი. გასაკვირი არ იქნება ჩემი ვიოლინოთი დაინტერესება, 10 წელი ვუკრავდი, შემდეგ მირჩიეს შემეცვალა ინსტრუმენტი და ალტზე გადავსულიყავი. ვიზუალურად თითქმის იდენტურია, სხვაობა მხოლოდ ზომაში და რეგისტრშია. თუ მუსიკოსი არ ხარ, გარჩევა, ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ ინსტუმენტს ძალიან ცოტა ფლობს, კონკურენციაც დაბალია კონსერვატორიაში და ამანაც შეუწყო ხელი ჩემს არჩევანს თავდაპირველად, თუმცა შემდეგი პროცესები ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა და გამართლებულად ვთვლი ჩემ არჩევანს.

- რა სკოლა გაიარე კონსერვატორიამდე?

–ხაშურის მუსიკალური სკოლის შემდეგ, გორის მუსიკალურ სემინარიაში გავაგრძელე სწავლა, ამის შემდეგ ჩავაბარე კონსერვატორიაში.

- რა ინსტრუმენტია, რითი განსხვავდება ვიოლინოსგან?

– ყველაფრით ძალიან გავს ვიოლინოს, შეგუებაა მთავარი და ხელის მორგება. ერთ წელზე მეტი დამჭირდა, რომ ტექნიკურად გავმართულიყავი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ინსტრუმენტს, ბუნებრივია. ჩემი ინსტუმენტი საქართველოში დამზადებულია, რომელსაც ამზადებს ლევან ცინცაძე, ივანე ჯავახიშვილის შთამომავალი.

-კონსერვატორიაზე გვიამბე, რა მოლოდინები გქონდა, რა დაგხვდა?

–თავდაპირველად, უცხო გარემო იყო ჩემთვის, რადგან კლასიკურ მუსიკაში, თითქმის სულ ერთი და იგივე ხალხია, ერთმანეთის შვილები, შვილიშვილები და აქედან ჩასულს, მომიწია თავის დამკვიდრება. როცა მე ჩავაბარე, ალტეზე, მხოლოდ ხუთი სტუდენტი ვიყავით, ახლა შეიცვალა მდგომარეობა და 15 ვართ. საკმაოდ მაღალი დონის პროფესიონალები გვყავს. ჯერ კიდევ ძველი თაობაა, რომელსაც დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს, რადგან სხვა დამოკიდებულება არსებობდა მაშინ კლასიკური მუსიკის მიმართ.

- რა არის შენი სურვილი, მიზანი, რომლისკენაც მიდიხარ?

–ჩემი მთავარი სურვილი მაინც ის იყო, რომ ცოდნის ის დანაკარგი შემევსო, რაც ბავშვობაში, ჩემი სიზარმაცით დავკარგე, რომ მენახა ჩემი თავი, შესაძლებლობები, რომ სხვა მასშტაბებზე მეფიქრა. რეჟიმმა და შრომამ უნდა მიგიყვანოს შედეგამდე, რომელიც არც ისე მარტივი მისაღწევია, არის რაღაცები, რაც დროს და შრომას მოითხოვს, ყველა სფეროში ასეა. ამ ეტაპზე, ამას ვთვლი მთავარ სურვილად და მიზნად.

- ევროპულ გამოცდილებაზე გვიამბე...

–საქართველოში, როგორც აღვნიშნე, სწავლის მაღალი დონეა, თუმცა, მინდოდა, ევროპული შესაძლებლობებიც გამომეყენებინა. "ერასმუსის" პროგრამით შევძელი მესწავლა ლატვიაში,. თავდაპირველად, ექვსი თვით ვიყავი და გამიგრძელეს პროგრამა. ესაა უდიდესი ადამიანური და პროფესიული გამოცდილება. მაქსიმალურად კონცენტრირებული ხარ, რომ ის განათლება მიიღო, რომელიც სამომავლოდ განაპირობებს შენს მომავალს.

- ახლა უკვე, სხვა ქვეყნისთვის ემზადები, რომელიც ისევ -ერასმუსს-უკავშირდება.

–მეორე პროგრამა ისევ "ერასმუსია". პირველად, როგორც ბაკალავრი, ისე წავედი, მეორედ, როგორც მაგისტრი, ისე მივდივარ. პროგრამა გულისხმობს თანაცხოვრებას, სწავლას და სტიპენდიას. შოტლანდიაში ვისწავლი, სამეფო აკადემიაში. ითვლება, რომ გერმანიას და ავსტიას, ყველაზე დიდი კლასიკური მუსიკის სკოლები აქვთ, თუმცა, შოტლანდიაც კარგი შესაძლებლობაა..

- რა მოლოდინები გაქვს შოტლანდიასთან?

–ჯერ მივდივარ "ერასმუსით", პროგრამის მონაწილე ვარ,ჩემი მიზანია, სტუდენტიც გავხდე. რადგან ხელშეწყობა ძალიან დიდია. ძალიან ბევრი შემთხვევაა, რომ პროფესორ-მასწავლებლები ძალიან ეხმარებიან ნიჭიერ სტუდენტებს.

- დედის როლი შენ ცხოვრებაში, არჩევანში და კარიერაში, როგორია?

–დედაჩემის როლი ძალიან დიდია. რომ არა მისი თანადგომა, ბევრი რაღაც არ გამოვიდოდა. ხშირად დაგვიკრავს ერთად, კვარტეტშიც ვიმუშავეთ, რაც დიდი პაასუხისმგებლობაა ჩემთვის.

- როგორია შენი დღის რეჟიმი?

–სულ ვმეცადინეობ, დღეში რამდენიმე საათს, ეს აუცილებელია მუსიკოსისთვის, სიზარმაცე მალევე აისახება უარყოფითი შედეგით და რთულია, ისევ ფორმაში დაბრუნება. ვიოლინოს, გიტარას, ფორტეპიანოს ვფლობ. სხვა ინსტრუმენტებისთვის დრო არც მრჩება, ძირითადად ორიენტირებული ალტეზე ვარ, იმ არჩევანზე, რომელიც გავაკეთე და მიზანზე, რომლისკენაც მივდივარ. დღის რეჟიმიც, მხოლოდ მუსიკაა, ყოველდღიური შეხება ინსტრუმენტთან.

- როგორც ვიცი, ფესტივალისთვის ემზადები, რომელიც ძალიან საპასუხისმგებლო და საპატიოა შენთვის.

–სექტემბერში, წინანდალში იმართება ყოველწლიური, კლასიკური მუსიკის ფესტივალი, რისთვისაც ვემზადები, რომელშიც რამდენიმე ქვეყნის ძალიან წარმატებული მუსიკოს-შემსრულებლები და დირიჟორები

იღებენ მონაწილეობას. შემარჩიეს ორკესტრისთვის, რომელიც კავკასიის რეგიონებიდან შეკრებილი მუსიკოსებითაა დაკომპლექტებული. ვემზადები რეპერტუარისთვის, რომელიც წინასწარ გადმოგვეგზავნა. 10 კომპოზიციის დაკვრა მომიწევს.

წარმატებებს ვუსურვებთ საბას. გვჯერა, მისი მუსიკა მსოფლიო მუსიკის საკუთრებად იქცევა და ჩვენი ქალაქის სახელს, უფრო ჟღერადს და ცნობადს გახდის.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.